ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

შ ა ბ ა თ ი, 20 თებერვალი 1910 წ. № 15

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „*Шрома*“, **Калистрату Конст. Циладзе.**

მიიღება ხელის მოწერა ორ-კვირეულ ჟურნალ ესპერანტოს ენაზე, სიტყვების და წინადადებების ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე განმარტებით

„კავკასიის ესპერანტისტი“

ჟურნალის მიზანია ესპერანტოს ენის გავრცელება კავკასიის მცხოვრებთა შორის. სხვა და სხვა სტატიების გარდა ჟურნალში მოთავსებული იქნება სისტემატიური გაკვეთილები ესპერანტოს ენის შესასწავლად რუსულ, ქართულ და სომხურ ენების შემწეობით. ჟურნალში პასუხი მიეცემა ყოველ კითხვაზე ამ ენის შესახებ ხელის მომწერლებს.

ხელის მოწერა მიიღება: 1) მიხაილოვის პროსპ. № 98 ძმ. ჰაჯიევების მაღაზიაში, 2) პუშკინის პასაჟი, ს. სოლომონიანცის ცინკოგრაფიაში, 3) კვირაობით, 11—12 საათ. 1-ლ სავაჟო გიმნაზიაში.

წელიწადში 1 მანეთი

სხვა ქალაქებიდან: **Тифлисъ, Панасевича ул. № 1, Айку Тер-Аствацатрянцу.**

წარმოდგენა 37 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 37

კვირას, 21 თებერვალს 1910 წ.

ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა

ქართული დრამ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ლევ ტოლსტოის

შავი ბერი

დრამ. 4 მოქმ. თარგ. ვ. ალექსი-მესხიშვილისა.

არტისტები: ქ-ნნ მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი პ. შოთაძე.—ბ-ნნი: ვლ. ალ.-მესხიშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, გ. იმხნელი, ი. ივანიძე, მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ქეიძე.

ამ წარმოდგენაზე კონტრამარკები არავის არ მიეცემა.

ბილეთები ვლ. ალექსი მესხიშვილის უმტკიცელოთ მალას ჭკარგავენ.

ადგილების ფასები საბენეფისოა **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

პარასკევს, 26 თებერვალს ბენეფისი კ. მესხისა, წარმ. იქნება: „**ხალხის სიკეთე**“ და „**სიკვდილი ნაპოლეონისა**“. მზადდება: „**დღენი ჩვენი ცხოვრებისა**“.

რეჟისორი: ვლ. ალ.-მესხიშვილი რეჟ. თანაშემწე: გ. ურუშაძე.

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარდა მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსნიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10\frac{1}{2}$—11.

გურკო ბ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2\frac{1}{2}$ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2\frac{1}{2}$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

სოზოლევსკი გ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—85)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—$2\frac{1}{2}$ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—85)

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

ვერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 20 თებერვალს

ქართულ სცენის მოყვარეთა მ.. ზ. შ. საფაროვის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნება

უბედური ნაბიჯი

დრ. 3 მოქმ. მ. კორეევისა.

და

„საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“

ვოდ. 1 მოქმ. სუნდუკიანცისა.

ადგილების ფასი 5 კ.—25 კ-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრატორი: **კოსინკოვი.**

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

„ცინკოგრაფია“

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—3)

გამოვიდა ახალი პაპიროსები

უმაღლესი ხარისხის და ნაზი სურნელებისა

„ИВАНЪ ДА МАРЬЯ“

25 ცალი 30 კაპ., 25 კაპ., 15 კაპ.

10 ცალი 10 კაპეიკი და 6 კაპეიკი.

სავაჭრო სახლი

ნ. ი. ბოზარჯიანცისა

მ-თ. 0—3

სახალხო სახლი

კვირას, 21 თებერვალს ალექსანდროვის **სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელი.**

ა. ქ. ვერესოვი წაიკითხავს ლექციას:

ალკოჰოლიზმი და ბრძოლა მასთან.

ლექციის შემდეგ გაიმართება კონცერტი.

დასაწყისი 11 საათზე. ადგილების ფასი 5 კაპ. და 10 კაპ.

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოვლად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი

პასხალიდის აბრეშუმის თესლი

როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს **გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში**

მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას

ქ. ბათუმში, მარიინსკის პროსპ. სახ. № 10 (15—2)

განცხადება

ქართველ სტუდენტობის საყურადღებოთ.

პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებული ქართული სამეცნიერო წრე შეუდგა ქართველ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევათ ანკეტის მოხდენას. ამ მიზნისათვის წრემ დაბეჭდა საგანგებო საანკეტო ფურცელი, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს ანკეტა. ახლა საჭიროა ამ ფურცლის დარიგება.

ამისთვის წრე უმორჩილესათ სთხოვს ყველა ქალაქების (როგორც რუსეთში, ისე საზღვარ-გარეთ) ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციებს (სათვისტომოებს, სამეცნიერო წრეებს და სხვ.), ან თუ ასეთები არსებობენ, იმ შემთხვევაში კერძო პირებს, რაც შეიძლება მალე მოგვაწოდონ ცნობები, თუ, დაახლოვებით მაინც, რამდენი ქართველი (განურჩევლათ სქესისა, სარწმუნოებისა და სხვ..) სწავლობს ამა თუ იმ ქალაქის ყველა უმაღლეს სასწავლებელში (უნივერსიტეტში, სხვადასხვა ინსტიტუტებში, უმაღლეს კურსებზე, ლიცეიში, სხვადასხვა აკადემიებში და სხვ.) და თავისი ადრესი.

დაწერის შემდეგ ფურცლები ისევ წრეს დაუბრუნდეს (სასურველია არა უგვიანეს ამა წლის მაისის თვისა).

ადრესი: С.-Петербургъ. Университетъ, Коллегія Имп. Ал. П. I. Кипшидзе. (0—3)

სახელმწიფო დუმა

(საგ. დეპეშ.)

18 თებერვალი.

თავმჯდომარეობს ხომიაკოვი. იხილავენ ნოვოროსიაში აჯანყების საქმის გამო მთავრობის უკანონო მოქმედების შესახებ შეკითხვის საჩქაროთ განხილვის საკითხს.

გეგეჭკორი აღნიშნავს გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელ ბერზენიკოვის და გამომძიებელ ლიჟინის უკანონო მოქმედებას. მოჰყავს სამხედრო სასამართლოს დადგენილება აცნობოს უმაღლეს მთავრობას ბერზენიკოვის და ლიჟინის უკანონო მოქმედება და მხარს უჭერს შეკითხვის საჩქაროთ განხილვას. 22 მარტს მესამეჯერ განიხილავენ ამ საქმეს—სთქვა ორატორმა—სამხედრო მსაჯულებს, რომლებმაც იციან რა ბედი ეწვიათ მის წინანდელ ამხანაგ მოსამართლეებს, სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტენ დამნაშავეებს. (მარცხნით ტაშისცემა).

თავ. კურაკინი. მოუწოდებს დუმას ძალა არ იხმაროს მოსამართლეებზე და შეძლება მისცეს მათ გამოიტანონ მიუდგომელი განაჩენი. ის უარს ყოფს შეკითხვის საჩქაროთ განხილვას.

ტიმოშკინი სიხარულით ეგებება სოციალდემოკრატების შეკითხვას და მხარს უჭერს შეკითხვის საჩქაროთ განხილვას, რომ რუსეთის საზოგადოებამ ჩქარა გაიგოს კავკასიის მთავრობის უმოქმედობა. ამ აზრის არის პოლოვცევიც.

კენჭის ყრით შეკითხვის საჩქაროთ განხილვას უარყოფენ. შემდეგ დუმა მატიუნინის მოხსენების თანახმათ საბოლოოთ ღებულობს მიწების მოწესრიგების კანონ-პროექტის რეზოლიუციას. სხდომა სწყდება. სხდომის განახლებისას შიდლოვსკის თავმჯდომარეობით დუმა ათავებს სინოდის ხარჯ-აღრიცხვის განხილვას და გადადის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე. მომხსენებელი თავ. გოლიცინი აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა აუცილებლათ საჭიროა; ის წესები, რომლებიც მთელ რუსეთში არის გამეფებული, აუტანელია. „დაცვის პოლიციის განყოფილების“ მოქმედება ყოველივე საზღვარს გადადის. 17 ოქტ. მანიფესტით აღთქმული პიროვნების ხელშეუხებლობა მხოლოდ სიტყვათ დარჩა. სასამართლოს მიერ გამართლებულ პირებს ადმინისტრაცია ასახლებს. პოლიციელები ყოვლათ უმიზეზოთ მშვიდობიან მცხოვრებთ სახლში ეჭრებიან. ყველაფერი ეს მაშინ ხდება, როდესაც პოლიტიკურ ჰორიზონტზე ერთი შავი ღრუბელი არა სჩანს და პოლიტიკური ბარომეტრი აღნიშნავს კარგ ამინდს. მომხსენებელს მოჰყავს სახელმწიფო სამსახურში მყოფ, ერთი მოხელის წერილი. ის მისულა თავის და კურსისტკასთან. ამ დღეს დის დღეობაზე მისულა მასთან რამდენიმე სტუდენტი და კერძო პირი. ხელათ გაჩნდა პოლიცია, გაჩხრიკა ყველანი, გადიწერა სახელ-გვარები და პოლიციაში წაიყვანა. თუმცა მესამე დღეს ყველანი გაუშვეს, მაგრამ პოლიციამ მოაგონა მ თ, რომ დღეობის გადახდა პოლიციის ნებართვით უნდა ხდებოდესო (მარცხნით და ცენტრში ტაშისცემა) შემდეგ ის აღნიშნავს რა დუმის სურვილს შემცირებულ იქნას ზოგიერთი ხარჯები, აცხადებს, რომ უწყების მიერ გამონაგარიშებული 96,402,440 მანეთი შემცირებულ იქნა კომისიის მიერ 586,362 მან. ყველაზე მეტათ შემცირებულ იქნა პარაგრაფი „პოლიციის სხვადასხვა საჭიროებისთვის ხარჯები“ და „პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფ პირთა შესანახი“, რადგან დუმამ აზრი გამოსთქვა გაუქმებულ იქნას ადმინისტრატიულათ გადასახლებაო.

მინისტრის ამხანაგ კრიჟანოვსკიმ განაცხადა, რომ შინაგან სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ კამათის შესამოკლებლათ ახლავე აუწყებს დუმას უწყების აზრს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თანახმაა შემცირდეს დარაჯების—391,988 მანათი, „პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფ პირთა და ვილნოს და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის შესანახი ხარჯები (ტაშისცემა.)

მაკლაკოვი ამბობს, რომ საზოგადო პოლიტიკა მთელი სახელმწიფო ცხოვრების მთავარი ბოროტებაა. პოლიტიკურ მომენტების პირობები ანაწალებს პასუხის მგებლობას მთავრობისა და საზოგადოებას შორის და დამტკიცებით შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუცია საზოგადოებისთვის ეგზამენია და მთავრობის რეაქცია. 1905 წელს მთავრობამ ფართე რეფორმები აღუთქვა ხალხს და ამით იმედები გაუღვიძა გულში. ამ დეკლარაციაზე საზოგადოებამ კრედიტის ნდობა გამოუცხადა, რაც წინანდელ მთავრობას არ ქონია. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობამ არ აღასრულა თავისი დაპირებები. ორატორი აღნიშნავს მთავრობისა და საზოგადოებას შორის დღევანდელ დამოკიდებულებას, რომ მთავრობის მიერ რეპრესიული ზომებია მიღებული ბეჭდვითი სიტყვის, კავშირების წინააღმდეგ. გადასახლება ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. და ბოლოს, მესამე დუმასთან დამოკიდებულებას, რომ მთავრობას სცოდნოდა თავის მოვალეობა, როცა მესამე დუმას იწვევდა, რომ მას ამ დუმის დახმარებით დაეწყო ნორმალური მართვა-გამგეობა, ის მოკლავდა რევოლიუციას და საზოგადოებას ოპოზიციის ნიადაგს გამოაცლიდა, მან დაარხრო რევოლიუცია და ისარგებლა რა მდგომარეობით, უარყო თავისი აღთქმა და საზოგადოებას კრიზაში ჩაუდგა. როცა მთავრობა ბოლოს გაიგებს, რომ ამ გზით სვლა შეუძლებელია, გვიანი იქნება: ის მაშინ პირის-პირ შეხვდება გაბოროტებული და რევოლიუციისათვის გამოსადეგ საზოგადოებას. ამიტომ, დასასრულ ამბობს ორატორი—დუმამ უნდა დაგმოს ეს პოლიტიკა, რომ გაამაგროს ხალხის წარმომადგენლობის იდეია, ურომლისოდაც ჩვენ არ შეგვიძლია შევასრულოთ ჩვენი მიზანი რუსეთის გახახლების და ბედნიერებისათვის (ოპოზიცია ტაშს უკრავს). **ბულატი** მოუწოდებს ცენტრს სთქვას „ტრუდოვიკებთან“ ერთათ: ჩვენ არ შეგვიძლია ფულები გავიღოთ მთავრობის პოლიტიკის გასაგრძელებლათ“ ორატორი კრიტიკას უკეთებს პოლიციის მოქმედებას, რომელიც შიშის ზარს სცემს მცხოვრებთ, იჭერს უდანაშაულო ხალხს, ცრუმორწმუნოებას ეწევა სასამართლოებში და სხვა. სოფლათ ცხოვრება ყოველივე უფლების გარეშე დაყენებული; თვითმოქმედების და თვითგანვითარების მისწრაფება ჩამხრჩვალია. ასევეა ქალაქებშიაც. იხურება მუშათა პროფესიონალური კავშირები, იკრძალება ლექციები; მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობა აღიარებს პოლიტიკური მკვლელობები შემცირდაო, სიკვდილით დასჯა ოდნავათაც არ შემცირებულა. ყველა ამაში, ბულატის აზრით, პასუხის მგებელია ცენტრი, რომელიც მთავრობის მოკავშირეა. დასასრულ ორატორი აცხადებს.

რომ ჩქარა დადგება სამაგიეროს გადახდის საათი. ხალხი მარტო არ იქნება საქვეყნო საქმისთვის. ჯარიც ფეხზე დადგება. (მარჯვნიდან ხმები: „ნუ შეურაცხყოფთ ჯარს“. მარცხნით ტაშის ცემა).

მარკოვი მეორე ამბობს, რომ ბულატი სცდება. რუსეთის ხალხი თავის დღეში არ დაადგება სტენკა რაზინების გზას და თუ იმპერატორის ჯარი ფეხზე დადგა, სტენკა რაზინებს სახრჩობელებზე ჩამოჰკიდებენ. შემდეგ ის ეხება მაკლაკოვის სიტყვას. ის არ ეთანხმება მას, თითქო ყველაფერი მთავრობის ხელში იყოს; თუ მოისურვებს მისცემს კონსტიტუციას, თუ არა და არ მისცემს. რუსეთის ხალხს თითონ არ უნდა კონსტიტუცია. რუსეთის ინტელიგენციასა და ხალხს შორის დიდი უფსკრულია. ინტელიგენციის იდეალია საფრანგეთის რევოლიუცია, ხალხის კი—რუსეთის დიდებული თვითმპყრობელობა (მარჯვნით ტაშის ცემა) ორატორის სიტყვით კიდეც ეგ არის მიზეზი, რომ დუმას ფართე წრეები თანაგრძნობით არ ეკიდებიან, რადგან ინტელიგენტებს ჩაუგდიათ ხელში. ჩვენ—ათავებს მარკოვი თაყვანს, არ ვსცემთ თქვენს იდეალებს. საფრანგეთის რევოლიუცია საზიზღარ დანაშაულობათ მიგვაჩნია და მუდამ ამას ვიძახებთ: გაუმარჯოს თვითმპყრობელობას, დაიღუპოს რევოლიუცია. (ხმაურობა. მარჯვნით ტაშისცემა.)

გოდნეკი აღნიშნავს, რომ მთავრობა ყოველივე ზომებს ღებულობს საზოგადოებრივ მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფათ, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხალხის ჯანმრთელობას და ამ მხრით მიაქცევს დუმის ყურადღებას. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 20 თებერვალს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 თებერვალი

სპარსეთი

თეირანი. სამინისტროს კრიზისი თავდება, მინისტრები თავთავიანთ ადგილებზე რჩებიან. ყოველ დღე ხდება თათბირი მინისტრებისა დეპუტატებთან, კაბინეთის პროგრამის შესახებ.

ოსმალეთი

სტამბოლი. მოვიდა სერბიის შინაგან საქმეთა მინისტრი მილოვანოვიჩი. სადგურზე მას შეხვდნენ სულთანისა და პორტას წარმომადგენლები. მინისტრმა ინახულა დიდი ვეზირი.

— სერრასს მახლობლათ მიწის ძვრისაგან ჩამონგრეულ კურგანს ქვეშ ნახეს ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი ნიში.

სალონიკი. მონასტერში მოხდა ექვსი ოლქის მიტროპოლიტთა კრება მსოფლიო პატრიარქსა და სინოდს შორის მომხდარ კონფლიქტის განსახილველათ. კრებამ დაადგინა დაიცვას სინოდის სადაო უფლებები.

საზღვარ-გარეთ

ვენა. დეპუტატთა პალატაში კრამარჟმა განაცხადა, რომ სლავიანთა კავშირი ბიუჯეტისა და საფინანსო კანონების წინაამდეგ მისცემს ხმას და არ შეცვლის თავის დამოკიდებულებას მთავრობასთან, სანამ არ შეიცვლება მართვა-გამგეობის სისტემა. ის უარს ამბობს რუსეთში გამგზავრების შესახებ წამოყენებულ ბრალდებაზე და იმეორებს, რომ ჩეხებიდან შეიძლება მოითხოვოთ ჩეხური პატრიოტიზმი და ერთგულება ჩეხიის მეფისადმი და არა ავსტრო-ვენგრული პატრიოტიზმი. რომ ჩეხები დასავლეთის სლავიანები არ იყვნენ ავსტრია კარგა ხანია დაექვემდებარებოდა გერმანიას. ორატორს არ სურს ავსტრია გერმანიის გახდეს, მარა არც ის სურს, რომ ის სლავიანების ხელში გადავიდეს. ეს უკანასკნელი გამოიწვევდა დასავლეთ და აღმოსავლეთ სლავიანებ შორის განხეთქილებას. შინაური პოლიტიკა თვითმკვლელი არ უნდა იყოს. ავსტრია რომ მართალი ყოფილიყო სლავიანებთან, ბოსნიის კრიზისი ნაკლები დაუჯდებოდა მთავრობას, პატარა სერბია ვერ მიიმხრობდა ისე ძლიერათ ბოსნიელებს, ვიდრე დიდი კულტურული ავსტრია.—ბატონთა პალატამ მიიღო კანონი ახალი სასალდათოების შესახებ. კამათის დროს მემარჯვენე გრაფი ლატური გრძნობით მიესალმა ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის დაახლოვების მზადებას. პლენერმა განაცხადა, რომ ყველა ავსტრიელი დამეთანხმება, რომ რუსეთთან დაახლოვება საჭიროა არა მარტო ევროპის მშვიდობიანობის ინტერესებისათვის, არამედ—ბალკანეთის ინტერესებისათვის, მაგრამ ეს რუსეთთან დაახლოვება უნდა მოხდეს მხოლოდ ერთის აუცილებელი პირობით: რუსეთმა უნდა სავსებით განახორციელოს განცხადება, რომ ავსტრიას არ აქვს მხედველობაში ბალკანეთის ტერიტორიის საკითხები და, რომ რუსეთის შეერთება ავსტრო-უნგრეთთან უნდა მოხდეს იმ აღმოსავლეთის კონსერვატიულ ნიადაგზე, რამაც უნდა აიძულოს ბალკანეთის სახელმწიფოები გაიგოს, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკა იწარმოებს არა რევოლიუციონური გამოსვლებითა და ინტრიგებით, არამედ სახელმწიფოების მფარველობით. დასასრულ მან განაცხადა, რომ ავსტრია-გერმანიის კავშირი, რომელმაც 30 წლის განმავლობაში უზრუნველ ჰყო მშვიდობიანობა, არის გული, რომლის გარშემო თავს იყრის ევროპის სახელმწიფოები და ის უნდა დაიცვას ყველა ავსტრიელმა პატრიოტმა.

ლონდონი. სათემო პალატა. საზღვაო უწყების დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ადმირალტეისტვოს ლორდმა მაკკენამ გამოთქვა თავისი დაპირება, რომ 4 „დრენდოუტი“ 18 მარტს 1912 წ. მზათ იქნებაო და განაცხადა, რომ მთავრობისაგან მიღებულია ზომები ამ დაპირების სისრულეში მოსაყვანათ. ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ მიიღო ბიუჯეტი 446 ხმით, წინაამდეგ 65.

ბერლინი. რეიხსტაგი. 17 თებერვალს კამათის დროს ზოგიერთმა დეპუტატებმა მოითხოვეს ფრიდრიხსჰაფენში გრაფ ცეპპელინის ხელმძღვანელობით ჰაეროსტატების გამოსაცდელი სადგურის დაარსება. მათ ხაზგასმით აღნიშნეს ჰაეროსტატების მნიშვნელობა მომავალ ომიანობის დროს. ამ მხრივ გერმანია არ უნდა ჩამორჩეს სხვა სახელმწიფოებსო. სტატ-სეკრეტარმა დელბრიუკმა უპასუხა, რომ ხაზინა პრინციპიალურათ წინაამდეგია მაგ პროექტის, ვინაიდან ბევრი ფული სჭირდებაო, მოკავშირე სახელმწიფოები კი სერიოზულათ არკვევენ ამ საკითხსო. წინადადება მიღებულ იქნა ერთხმათ.

ლონდონი. სათემო პალატა. ინდოეთის საქმეთა უმცროსმა სტატ-სეკრეტარმა მონტაგიუმ განაცხადა, რომ არავითარი საბუთი არ არის ვიფიქროთ, რომ ინდოეთისა და ტიბეტის დამოკიდებულებაზე ცვლილება დაეტყოს ტიბეტის ადმინისტრაციის შემადგენლობით.

პეკინი. ცზინჩჟოუ-აიგუნის რკინის გზის შესახებ რუსეთის ელჩმა გადასცა ჩინეთის მთავრობას წინაამდეგი წინადადება: რუსეთი ნებას აძლევს ჩინეთს ცზინჯოუს რკ. გზის მაგიერ გაიყვანოს კალგან-ურგა-კიახტას რკინის გზა იმ პირობით, რომ ამით დარღვეულ არ იქნას რუსეთის საზღვრები. რუსეთი თანახმაა აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა რკინის გზის გაყვანაში და შეუერთოს ის ბაიკალის იქითა მხრის ლიანდაგს. ფიქრობს რა, რომ საზღვარ-გარეთის კაპიტალისტებს განზრახვა არ აქვს, დაინტერესებული სახელმწიფოები თანაგრძნობით შეხვდებიან ამ პროექტს.

რუსეთი.

ჰელსინგფორსი. გაიხსნა მორიგი სეიმი. სადღესასწაულო პარაკლისს დაესწრო გენერალ-გუბერნატორი; პასტორმა სიტყვა წარმოსთქვა. 12 სთ. გენერალგუბერნატორი სასახლეში მივიდა, დაიჭირა თავისი ადგილი და რუსულათ წაიკითხა მისალმების სიტყვა“. მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის უმაღლესი ბრძანებით მივესალმები სეიმის წევრებს და ვაცხადებ სეიმს გახსნილათ“. ტალმანმა სეიმის სახელით უქვეშევრდომილესი გრძნობა გამოუცხადა.

ვორონეჟი. სამხედრო სასამართლოში დაიწყო 1905 წ. ვორონეჟში მომხდარ პოგრომის საქმის გარჩევა. ბრალს სდებენ 40 კაცს. მოწვეულია 119 მოწმე.

პეტერბურგი. მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი რიაზანში მოსკოვის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც 6 კაცს სხვა და სხვა ვადით კატორღა ქონდა გადაწყვეტილი სოც.-დემ. პარტიის წევრობისათვის. საჩივარი უყურადღებოთ დატოვეს, მხოლოდ სტუდენტ კრასკოვს 6 წლის კატორღა 3 წ. და 8 თვით შეუცვალეს.

— დუმის 33 წევრმა საკანონმდებლო წინადადება შეიტანეს დუმაში ოჯახში მოსამსახურეთა შესახებ.

მოსკოვი. მოასვენეს კომისარჟევსკაიას გვამი. სადგურზე აურაცხელი ხალხი შეხვდა. კუბო 50 გვირგვინით შეამკეს.

ბაქო. სომხის ბინაზე აფეთქების შემდეგ იპოვეს ნავთის და ბენზინის თუნექის ჭურჭლები. 7 ბავშვიდან, რომლებიც ცეცხლიდან გამოიყვანეს, 3 გარდაიცვალა.

წერილები თავრიზიდან

საერთო მდგომარეობა.

(გაგრძელება)

სწორეთ ეხლანდელი რეაქციონერები ებრძოდენ მამად-ალის მთავრობას და მათი შეერთება შეუძლებელია, მხოლოდ საქმე ეხლანდელი მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება—ძალა-უფლებების—და ბრძოლაც, აქ არის და იქნება. შეერთება შეიძლება მხოლოდ ეხლანდელი მთავრობის და ამ რეაქციონერების, რადგან აქ კლასობრივი ნათესაობაა. მამედალის ძალას წარმოადგენს რახიმ-ხანი ყაჩაღ ნაძირალებით, შეუგნებელ იმთიულებით და დაინტერესებული სახელმწიფოებით...

მეტათ ოსტატურათ იქცევა ინგლისი, ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა ზედ შედგება—ამბობს ქართული ანდაზა და „წაფორხილებულ“ ირანს ოსმალეთიც შემოესია.

ინგლისს უჭირავს ზღვის ნაპირები—ბუშირის არხიდან. ბუშირამდე თეირანიდან ერთი თვე უნდა მგზავრობას, არის მაღალი მთები და ტყეები, რომლებიც სავსეა ავაზაკ-მეკობრებით: ფოსტა გადააქვთ აქლემ-ჯორებით...

ოსმალეთმა გადმოიარა ირანის საზღვრები დასავლეთით სოუჯ-ბულახამდე, სადაც ქურთები ცხოვრობენ და დაიჭირა ოც-და-ათზე მეტი სოფელი—ძველათ ეს ჩვენ გვეკუთვნოდაო..

აქედან ურმია-სალმასტს შემოუარია 21—25 ვერსზე, გაამაგრა მთები ზარბაზნებით და ქ. ვანიდან (მცირე აზიიდან) შემოუყვა ქ. ხოისკენ, სადაც დაიჭირა 42 სოფელი. საზღვრების ასეთ გადალახვას ჯერ მიაქცია სპარსეთის ეხლანდელმა მთავრობამ ყურადღება, მარა ეხლანდელ დროში ცარიელ სიტყვას გასავალი არ აქვს, ძალა კი ირანს არ შესწევს. სამაგიეროთ, ოსმალეთის ასეთ გადმოსვლას სპარსეთში რუსეთმა მიაქცია ყურადღება და აი რატომ: ოსმალეთი ერთი დღის სვალზე მიუახლოვდა ქ. მაქოს, რომელიც მდებარეობს მდ. არაქსის პირათ მიეზში რვა საათის სავალზე რუსეთის საზღვრიდან ნახიჩევანისკენ.. რომ ვინიცობაა, რუსეთ-ოსმალეთს ომი მოუხდეს, აქედან 10—15 საათში გადივლის ოსმალოს ჯარი ერევან-ნახიჩევანის საზღვრებში, გადაჭრის რკინის გზას. ამიტომ არის, რომ რუსეთის ჯარი ბლომათაა დღეს არაქსის საზღვრებზე. ამ დღეებში დიდი მოლაპარაკება აქვთ ბაიაზეთისა და მაქოს ხანს, რომელიც დამოუკიდებელ სამთავროთ ითვლება სპარსეთში და ჯერ ოფიციალურათ ირანის ახალ მთავრობას არ სცნობს. ამ ხანს 40 მილიონ მანეთზე მეტი აქვს რუსეთის ბანკში ამბობენ!

ამ ხანმა მაქოში მიიღო და ბინა მისცა ამ რეაქციონერ ქურთ ბეგ-აღებს, რომლებმაც აჯანყება მოახდინეს ოსმალეთში ახალი მთავრობის წინაამდეგ; ისინი აქ დიდ-ძალი ნაძარცვი ქონებით მოვიდენ. მათი რიცხვი ასზე

ცოტა რამ წარსულიდან *)

სისტემატიური პროპაგანდა სოციალ-დემოკრატიულ იდეათა რუსეთის რევოლიუციონერთა შორის დაიწყო მხოლოდ 1883 წლის ზაფხულიდან, როდესაც ჟენევაში დაარსდა რუსეთის პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „შრომის განთავისუფლება.“ ამ ჯგუფის პირველი ლიტერატურული ნაწარმოები იყო ბროშიურა—„სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, რომელიც ეკუთვნოდა ამ წერილის ავტორს.

თავის თავათ ცხადია, რომ ეს ბროშიურა რუსეთში გასაგზავნათ იყო დანიშნული და მას გზაში უნდა გადაელახა ის დაბრკოლებები, რომლებითაც მაშინ ებრძოდენ ამ ნაირ ლიტერატურულ ნაწარმოებთ (და ებრძვიან დღესაც წინაამდეგ 17 ოქტომბრის მანიფესტისა.)

თუმცა დიდი იყო ეს დაბრკოლებები, მაგრამ უმთავრესი დაბრკოლება, რომლისთვისაც უნდა ეძლია ახალ ჯგუფს, სულ სხვა ხასიათის იყო. ეს მდგომარეობდა იმაში, რომ მაშინდელ რუსეთის რევოლიუციონერთა დიდი უმრავლესობა აშკარათ გმობდა ყველა იმას, რაც კი სოციალდემოკრატიულ სახელს ატარებდა.

ეს გარემოება კარგათ იცოდა მარქსმა და ენგელსმა. როდესაც, სწორეთ პარიზის 1889 წლის ინტერნაციონალური კონგრესის შემდეგ პ. აქსელროდი და მე შევხვდით ენგელსს ლონდონში, მან შეგვნიშნა, რომ იქნება უფრო წინდახედული იქნებოდა თქვენის მხრით, რომ სოციალდემოკრატებათ არ წოდებულიყავითო. „წარმოიდგინეთ ამასთანავე,—დაუმატა მან,—რომ თავდაპირველათ არც ჩვენ ვიწოდებოდით სოციალდემოკრატებათ, არამედ—კომუნისტებათ»-ო, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ გავაქარწყლებდით ყველა იმ ცილისწამებებთ, რომლებსაც ახვევდენ თავზე სოციალდემოკრატებს მათი „სოციალ-რევოლიუციონური“ მოწინაამდეგენი. ამასთანავე, სახელწოდებას, სოციალდემოკრატს, ჩვენს თვალში ქონდა თვალსაჩინო პრაქტიკული მნიშვნელობა. როდესაც რუსეთის კლასობრივათ შეგნებული პროლეტარიატი თავის თავს სოციალდემოკრატს უწოდებს, იგი უფრო ადვილათ მიხვდება როცა გაზეთში წაიკითხავს თავის მეზობელი გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის ვითარებაზე, რომ იქ იმის თანამოაზრე ამხანაგებზეა ლაპარაკი.

ცნობები კი ამ ვითარებაზე რუსეთის პრესაში პოულობდენ ადგილს, მიუხედავათ იმისა, რომ ეს უკანასკნელი ცენზურის მძიმე უღლის ქვეშ იმყოფებოდა. ჩვენ გავუზიარეთ ენგელსს ჩვენი მოსაზრებები და მან ისინი საფუძვლიანათ იცნო. რომ მართლათ წარმოიდგინოს გერმანელმა მკითხველმა, თუ საიდან დაებადა რუსეთის რევოლიუციონერებს უარყოფითი შეხედულება სოციალდემოკრატიის წინაამდეგ, ჩვენ უნდა დავახასიათოთ ის ორი მიმართულება რუსეთის მოძრაობაში, რომელთაც ადგილი ქონდათ იქ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის დაარსებამდე. ერთი ამ მიმართულებათაგანი შეკავშირებულია პ. ლავროვის სახელთან, მეორე კი—მ. ა. **ბაკუნინის**. რაც შეეხება ლავროვს, იგი მუდამ დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული მარქსის და ენგელსის წინაშე და **არასოდეს არ გამოსულა საზოგადოთ სოციალდემოკრატის** და კერძოთ გერმანიის სოციალდემოკრატიის წინაამდეგ; მაგრამ **არასოდეს** აგრეთვე არ გამოქომაგებია იგი მას ანარქისტულ იერიშთა წინაამდეგ.

„მეგობარი პეტრე“—როგორც მას უწოდებს ენგელსი ერთ თავის მის წინაამდეგ მიმართულ წერილში—„**გადახვეწილთა ლიტერატურა**“ გაზ. „ფოლკსტაატ“-ში — იყო ეკლექტიკი სულიდან ხორცამდე და არ შეეძლო მას გარკვეული პოზიცია დაეჭირა იმ ბრძოლაში, რომელიც გაჩაღებული იყო ინტერნაციონალში ბაკუნისტებსა და მარქსისტებს შორის. თავის გაზეთ „ვპერიოდში» იგი გულუბრყვილო მწუხარებას უცხადებდა იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატები და ანარქისტები ხელი ხელ ჩაკიდებულნი არ მიდიან ერთათ. სწორეთ ამ სასაცილო ლამენტაციებმა—სოციალ-დემოკრატთა და ანარქისტთა შორის ამტყდარ ბრძოლის გამო—გამოიწვიეს ენგელსის ზემოთ მოხსენებული პოლემიკური წერილი „ფოლკსტაატ“-ში. — ლავროვი ორივე ფეხებით **უტოპიურ სოციალიზმის** ნიადაგზე იდგა. ისტორიას იგი წმინდა იდეალისტურათ ხსნიდა. თავის მრავალრიცხოვან სოციალისტურ ნაწერებში ერთხელაც არ ცდილა იგი გაეკეთებია ანალიზი მაშინდელ რუსეთის ეკონომიურ ვითარებისთვის. იმის ტაქტიკა შეიცავდა უმეტესათ „წმინდა სოციალიზმის“ პროპაგანდას. ყოველივე ფიქრი რევოლიუციონურ პროპაგანდის შესახებ აშინებდა მას, როგორც მავნებელი გადახვევა „მშვიდობიან პროპაგანდისტულ მოქმედების“ გზიდან. ეს გარემოება იმის მოურჩენელ ეკლექტიზმთან ერთათ სრულიათ საკმარისი იყო, რომ ჩქარა ბოლო მოღებოდა იმის გავლენას რუსეთის რევოლიუციონურ ახალგაზდობაზე *) და იმდენათ, რამდენათაც ლავროვის გავლენა ეცემოდა, იზრდებოდა ბაკუნინის გავლენა.

თუ ლავროვი საჭიროთ არ სთვლიდა ანალიზი ექნა რუსეთის ეკონომიურ ურთიერთობისათვის, ბაკუნინმა კი, რადგან იგი თავის თავს ისტორიულ მატერიალიზმის მომხრეთ სთვლიდა, ეს ანალიზი საფუძვლათ დაუდო თავის პროგრამას და ტაქტიკას. უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ იმის ანალიზს არსებითად საერთო არაფერი ქონდა ისტორიის მატერიალისტურათ შეგნებასთან.

ბაკუნინი გამომდინარეობდა რუსეთის სახალხო იმ ვითომდა კომუნისტურ ლტოლვილებიდან, რომელსაც იგი უსაბუთოთ ხედავდა შიდა რუსეთის გლეხთა თემურ მიწათ-მფლობელობაში. რომ ამ ლტოლვილებამ მდიდარი კომუნისტური ნაყოფი გამოიღოს, ამისთვის საჭიროა მხოლოდ სახელმწიფოს დანგრევა, რომელიც ხელს უშლის გლეხურ თემების ამ გზით განვითარებასო. ამიტომ ბაკუნინმა გამოუცხადა სახელმწიფოს დაუძინებელი ბრძოლა. ამასთანავე, ის არ არჩევდა რუსეთის სახელმწიფოს დასავლეთ ევროპის „უფლებრივ სახელმწიფოთაგან“. კიდევ მეტი. ის იმ აზრისა იყო, რომ რუსეთში მართველობის კონსტ. ფორმის შემოღება ხალხისთვის უფრო მავნებელი იქნება, რადგან იგი თავისუფალ გზას გაუკაფავს **კაპიტალიზმის** განვითარებას და მაშასადამე, შეასუსტებს გლეხ-კაცობის კომუნისტურ ლტოლვილებასო. რევოლიუციონერებმა უნდა დაამხონ სახელმწიფო. და რომ ხალხი უკეთ მოამზადონ სახელმწიფოს დასამხობათ, მათ უნდა აღზარდონ ის. ბაკუნინის თვალში საუკეთესო აღმზრდელი საშუალება იყო განუწყვეტელი აგიტაცია შეზავებული პატარა აფეთქებებით. მაგრამ აგიტაციის გასაწევათ საჭიროა გამომდინარეობდე არა „წმინდა სოციალიზმის“ პრინციპებიდან, რომლის პროპაგანდასაც იწეოდენ ლავროვის მიმდევრები, არამედ — ხალხის მასსათა „უმახლობელეს საჭიროებათა და მოთხოვნათაგან“.

ბაკუნინის ეს შეხედულებები გახდენ „ნაროდნიკების“ სწავლათ, რომლებიც წარსულ საუკუნის მესამოცდაათე წლების მეორე ნახევარში ბატონობდენ რუსეთის რევოლიუციონერთა გონებაზე.

ჩვენ დავინახეთ, რომ „ნაროდნიკების“ იდეიური შინაარსი ორივე ფეხზე კოჭლობდა, მაგრამ „ნაროდნიკებს“ ქონდათ ერთი დიდი თვისება—იგინი იყვნენ ენერგიული **საქმის ხალხი**. რაც უფრო დაჟინებით მოითხოვდნენ იგინი თვის საქმის განხორციელებას, რამდენათაც უფრო მეტ ენერგიას ანდომებდენ იგინი ხალხში ყოველდღიურ აგიტაციას, მით უფრო აშკარათ ხდებოდა შეურიგებელი წინაამდეგობა მათი მოძღვრების ლოღიკისა და რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების ობიექტიურ ლოღიკის შორის. როგორც ბაკუნინის აღთქმათა ერთგულთ, მათ სურდათ „სახელმწიფოს“ წინაამდეგ ბრძოლა მაგრამ იგინი იძულებული გახდენ შებრძოლებოდენ არა **სახელმწიფოს**, როგორც ამნაირს, როგორც **შემეცნებას**, ამიტომ მათმა აგიტაციამ — წინაამდეგ ბაკუნინის აგიტაციისა, რომელიც ყოველგვარ **პოლიტიკას** აცხადებდა **რევოლიუციის** ღალატათ — ძალა-უნებურათ მიიღო გარკვეული **პოლიტიკური** ხასიათი.

საზოგადოებრივი ცხოვრების ლოღიკა ძალას ატანდა რუსეთის რევოლიუციონერებს ეკეთებიათ ის, რაც მათი თეორიის თვალთა ხედვით ღალატათ ეჩვენებოდა მათ.

ეს კიდევ ცოტაა. ჩვენი „ნაროდნიკები“ ყველა თავის იმედებს ამყარებდენ **გლეხზე**, რომელიც წარმოდგენილი ყავდათ დაბადებითვე კომუნისტათ. სამრეწველო ცენტრების **პროლეტარიატი** აინტერესებდა მათ მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ამ უკანასკნელს შეეძლო პირდაპირი კავშირი დაეჭირა სოფელთან ან გაეახლებია ეს კავშირი. ის ელემენტები კი, რომლებმაც სამუდამოთ გასწყვიტეს ეს კავშირი, მიაჩნდათ მათ სრულიად უარის ყოფითი საზოგადოებრივ მოვლენათ, მათ სთვლიდენ სამწუხარო შედეგათ, რომელიც ხალხის ცხოვრების ძველი ეკონომიური **საფუძვლის** დარღვევას მოჰყვა. მაგრამ სოფლის „დაბადებითვე კომუნისტი“ ყრუთ რჩებოდა მათ ყველა რევოლიუციონურ მოწოდებისადმი მაშინ, როდესაც სამრეწველო პროლეტარიატი **ჯერ** კიდევ იმ დროს დიდი ყურადღებით ისმენდა მათ სიტყვებს. ამ ნაირათ მოხდა, რომ ის პირები, რომლებიც თავის გან-

---

*) ეს წერილი გადმოთარგმნილია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ ორგანო—«ფორვერტსი»-დან. წერილი ეკუთვნის გ. ვ. **პლეხანოვს**. დაისტამბა „ფორვერტსის“ 25 წლის იუბილეის დღეს.

*) მაშინდელი რევოლიუციონერებს თითქმის მხოლოდ მოსწავლე ახალგაზდობა შეადგენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტია და ყავთ კარგათ შეიარაღებული ქურთების რაზმი. იმათ გაცემას თხოულობს ოსმალეთი, მარა ჯერ ჯერობით სპარსეთს არ შესწევს ძალა მათი დამორჩილებისა...

ეს მაქოს ხანი არის მეორე ძალა მამადალის, რეაქციონერების რახიმ-ხანის შემდეგ და რეაქციონური მუშაობაც აქ არის გაჩაღებული... რევოლიუციონურ გამოსვლებში უმთავრესათ ქალაქები ღებულობდა მონაწილეობას. ფულს, პურს და ყოველგვარ სურსათს ქალაქი იხდიდა. სოფელს თუ რეაქციონერები ჩაიგდებდენ ხელში, სულ-ან-ხორციანა ძარცვავდენ... რევოლიუციონერები ხარკს აწერდენ, მარა თვით ჯარის სოფელში ყოფნა სოფელს ალატაკებდა... შეუგნებელი მუჯაიდები უმთავრესათ შემთხვევით „მეთაურები“ ყვლეფდენ, ძალას ხმარობდენ... რადგან ირანის ქალაქები ფეოდალურია, აქ ჯერ კიდევ ბრძოლაა ქალაქების დასაპყრობათ ფეოდალ-ხანებისაგან; ვაჭარს, მოხელეს ტყავს აძრობდენ: მოლა, სეითი, ხანი, პრინცი, შახი და უბრალო მოხელე თავისუფალი მოქალაქე ვერ განვითარდა და ახალ ფეხ-ამდგარ ბურჟუაზიას სათავეში ჩაუდგა ყველა ჯურის ხან-სეით-მოლები. მათ ძალას ხალხი გრძნობდა საუკუნოებით და როცა რევოლიუციას მიემხრენ, დროებით მეთაურობაც მათ დარჩათ...

ეს „მეთაურები“ (უმრავლესობა) ძარცვავდენ ყველაფერს და ამ მიზნით იბრძოდენ კიდევაც... სოფლებში, გაქცეული ხანების ქონება დაიტაცეს, მათი ცოლები და ქალიშვილები ცოლებათ წაიყვანეს, როცა რევოლიუცია მოთავდა, ხანებზე მისაცემი ერთი წლის ლალა-„ნაღდილი“ სოფლებში გაბატონებულ ზოგმა ვაჟბატონ „მეთაურებმა“ მიისაკუთრეს... ასეთი პირები არჩეულია თითქმის ყველა ენჯუმენ-დაწესებულებებში.

იყო მაგალითი, სოფელს იარაღი აყიდვინეს და შემდეგ მოკრიფეს ძალით გაბატონებულმა „რაზმელებმა“; ენჯუმენის განკარგულებას, ხალხის თხოვნა-ვედრებას ყურადღება არ მიაქციეს და იწყეს თარეში სოფლათ... რომ ალაგმონ ისინი, ჯარი არ ყავს მთავრობას, ფული არ აქვს ხაზინაში ერთმანეთის უნდობლობაცაა მთელს ირანში...

რომელიმე სოფლის შეძლებულ ხანს ან ვაჭარს, სეითს, მოლას აქვს რამდენიმე სოფელი, ჰყავს რამდენიმე ასი შეიარაღებული გლეხკაცი, აცმევს, აჭმევს და რადგან ის ერთხელ რევოლიუციას მიემხრო, დღეს ბატონობს—სოფელს აწიოკებს, ძალას ხმარობს. რომ რამე უთხრას გლეხმა ეუბნება: მე შენ თავისუფლება მოგიპოვე, „რევოლიუცია მე მოვახდინე“, მამად-ალი გავაგდე, საწამებელი იარაღები მოვსპე, შენ რას ბედავ თუ იცი, შენ რა შეგეძლო მე მონაო და გლეხობაც ეხლა აზროვნობს რაღაცას, ძილისაგან ერკვევა და ამ დროს გაქცეული მემამულე რეაქციონერების აგენტები დადიან სოფლათ და ეწევიან აგიტაციას: თქვე უბედურებო, რა მოიგეთ, დღეს აღარც მეფე გყავთ, აღარც სამართალი გაქვთ, აღარც სარწმუნოება—განა მაგისთვის იბრძოლეთ, ღვარეთ სისხლი, ეგ იყო თქვენი ერთობაო?!. ხალხი დრტვინავს, ენჯუმენი იბნევა, სახელმწიფოები ჯარს გზავნიან, პოლიტიკოსები თავს იტეხენ, საქმის სირთულემ ლამის ჭკუაზე შეშალოს გულწრფელი მკირედი მუშაკი,—მარა ცხოვრება მაინც წინ მიდის...

გლასა მგელაძე.

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბები

✦ **წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის** უკანასკნელ მორიგ სხდომაზე, სხვათა შორის, განხილულ იქნა ფოთის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების საზოგადო საორგანიზაციო კრების ოქმი. ვინაიდან ოქმიდან გამოირკვა, რომ კრებაში მონაწილეობა მიუღიათ არა წევრთ, ამიტომ გამგეობამ ოქმი უკანონოთ იცნო და წინადადება გაუგზავნა ფოთის განყოფილებას ხელ-ახალი კრება მოიწვიონ, რომელშიაც მარტო წევრები მიიღებენ მონაწილეობას და ხელ-მოწერილი ოქმი მთავარ გამგეობას წარმოუდგინონ დასამტკიცებლათ.

✦ **ქალაქის საბჭომ** თფ. კერძო ელექტრონის სადგურების მეპატრონეებს ცირკულიარები დაუგზავნა, რომლითაც აცნობებს მათ, რათა ისინი მავთულების გაყვანის დროს მორიდებით ეპყრობოდენ უსახელო საზოგადოების ელექტრონის სადგურის მავთულებს; წინაალმდეგ შემთხვევაში ყოველივე ზარალი მათ მიერ იქნება ანაზღაურული.

✦ **თავის მოწამვლა** გუშინ, დილის 10 საათ. დუშეთის ქუჩაზე, კლამავსკაიას სახლში, კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა ს. ელიოზოვამ. მოწამლული მიხაილოვის საავათმყოფოში წაიყვანეს, ავათმყოფის მდგომარეობა უნუგეშოა.

✦ **პოლიცმეისტერმა** განკარგულება მოახდინა: ჩემ მიერ შენიშნულია, რომ უბნის ზედამხედველნი, რომელნიც მორიგეობენ ნამესტნიკის სასახლესთან, ხშირათ მგზავრებს ებაასებიან; ერთი სიტყვით, სამსახურზე ცდებიან, რაც არა სასურველია. რადგან ხსენებული სამსახური საპატივსაცემო და საპასუხისმგებლო რამ არის, ამიტომ წინადადებას ვაძლევ ყველას, ვინც ამ ადგილას იმსახურებს, უნაკლოთ დაიცვან სამსახურის ყოველი წესი. წინაალმდეგ შემთხვევაში უბნის ზედამხედველნი სამსახურიდან დათხოვნილნი იქნებიან.

✦ **თავის დახრჩობის განზრახვა.** 18 თებერვალს, საღამოს 10 საათზე, მუხრანის ხიდთან მდინარეში გადახტა კურლიანდიის გუბ. მცხოვრები ქალი ო. ი. გეროხიმი—19 წლის. მენავემ ადრე მიუსწრო და დახრჩობას გადაარჩინა.

✦ **ცეცხლი.** 18 თებერვალს საღამოს 7 საათზე თფილისის მოქალაქის მ. ლ. სოსინის სახლს № 2, აბასთუმანის ქუჩაზე ცეცხლი გაჩნდა. სახლში მოთავსებული იყო საღებავის ქარხნის კანტორა. შენობა სრულიად დაიწვა. სახლი 35,000 მან. ყოფილა დაზღვეული.

✦ **ქალაქის საქმეები.** ელექტრონის ფუნიკულიორის ადმინისტრაციამ და უსახელო საზოგადოების დირექციამ 2,800 მან. ვექსილი წარადგინა ქალაქის კასაში 10,000 მან. გირაოს შესავსებათ. ვექსილს ვადა აქვს 24 მარტამდე. ამასთანავე საზოგადოება ფუნიკულერმა 24 მარტამდე ნებართვა უნდა წარუდგინოს ქალაქის გამგეობას შესახებ ელექტრონის ტრამვაისა, რომელსაც ფუნიკულერის სადგურიდგან კოჯრამდის გაიყვანენ. წინაალმდეგ შემთხვევაში 10,000 მან. გირაო ქალაქის სარგებლობაში გადავა.

✦ **ჟურნალი „სხივი“ს** რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „ვსთხოვთ პროვინციის ყველა ხელის მომწერლებს დაუყონებლივ შეგვატყობინონ მიიღეს თუ არა ჟურნალი „სხივი“-ს მეცხრე ნომერი. როგორც ირკვევა, ჟურნალი ფოსტაში წამლებს არ გამოუგზავნია.“

✦ **დუქნები ციხეებში.** 17 თებერვალს შესდგა სხდომა საგანგებო კომისიისა, რომელსაც მინდობილი ქონდა განეხილა საკითხი მეტეხისა და საგუბერნიო ციხეებში დუქნების დაარსების შესახებ. საკითხის სრულიად გადაწყვეტამდე კომისიის წევრს ნ. პ. ფრიდონოვს მიენდო სავაჭრო ნივთების ნიხრის განხილვა.

✦ **მაზრის უფროსების სიეზდი,** თფილისში ჯერ არ დამთავრებულა. სიეზდს თავმჯდომარეობს გუბერნატორი ლოზინო-ლოზინსკი. სიეზდი ამ ჟამათ არჩევს ადმინისტრატიულ მმართველობის საკითხებს. სხვათა შორის, ირჩევა საკითხი მთავრობის მამასახლისების ინსტიტუტის შესახებ.

✦ **გეოქჩაი და სალიანი** შუამდგომლობა აღუძრავთ რათა დაბები გეოქჩაი და სალიანი ქალაქებათ იქნას გადაკეთებული. ქალაქებში მარტივი თვითმართველობები იქნება შემოღებული.

✦ **ნამესტნიკის შუამდგომლობა.** კავკასიის ნამესტნიკმა თხოვნით მიმართა სახელმწიფო საბჭოს წევრს ა. პ. ნიკოლსკის მინისტრთა საბჭოში განსახილველათ შეიტანოს ქუთაისის ქალაქის საბჭოს დადგენილება ბეთანოვის მიწის შეძენის შესახებ ქ. ქუთაისში. ნამესტნიკის აზრით, ქალაქის ასეთი დადგენილება აშკარათ ეწინაალმდეგება ქალაქის მცხოვრებთა ინტერესებს.

✦ **გასაჩივრება.** თფილისის სამოსამართლო პალატის დადგენილებას, რომლითაც ექიმ ივ. გომართელს 1 წლის ციხე აქვს მისჯილი, ივანე გომართელი სენატში განასაჩივრებს.

✦ **ს. კაცხიდან გვატყობინებენ:** (შორ. მაზრა) 17 თებერვალს, აქ სამწუხარო ამბავი დატრიალდა: ამ საზოგადოების მამასახლისის თანაშემწემ სახელმწიფო და საზოგადო გადასახადები მოსთხოვა ამავე საზოგადოების მცხოვრებთ ძმ. ბ. და ივ. კუპატაძეებს. მამასახლისის თანაშემწეს ძმებმა კეტით სცემეს. გალახული გარდაიცვალა. დამნაშავენი დაატუსაღეს.

✦ **რედაქციამ მიიღო შემდეგი წერილი.** ვგლოვობთ უდროვოთ დაკარგულ ალექსანდრე ბახტაძეს (ალი აჯი). ნინა წულიკიძე, ნ. სალარიძე და ვარლამ [illegible]ურაძე.

—ღრმათ დაგვამწუხრა ალექსანდრე ნ. ბახტაძის უდროოთ დაკარგვამ. მასწავლებლები: ლუბა თავართქილაძე, მ. შარაშიძე, ა. შა[illegible]შიძე, ვ. ქეიშვილი.

✦ **ვერის სახალხო აუდიტორია.** დღეს, 20 თებერვალს ქართული სცენის მოყვარეთა მიერ ზ. შ. საფაროვის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება „უბედური ნაბიჯი“ 3 მოქ., დრამა გ. კორეევისა და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“. ვოდევილი 1 მოქ. სუნდუკიანცისა.

✦ **სასამართლო.** 17 თებერვალს თფილისში კავკასიის სამხედრო საოლქო სამართლომ გაარჩია ფირუზა გაგნიძის საქმე, რომელსაც ბრალათ ედებოდა ურიათუბანის საზოგადოების მამასახლისის თავ. [illegible]ლოყაევის მოკვლის განზრახვა. სასამართლომ გაგნიძე გაამართლა ბრალდებულს იცავდენ ივ. კაჩუხივი და ი. ბარათოვი.

✦ **სალდათის შეპყრობა.** 18 თებერვალს პოლიციამ შეიპყრო სიღნაღის მაზრის მცხოვრები გ. ლ. [illegible]ოსტაშვილი, რომელიც სხვისი პასპორტით ცხოვრობდა და სალდათობას ემალებოდა. შეპყრობილი სიღნაღის მაზრის უფროსთან გაგზავნეს.

✦ **გამოვიდა № 8 „მათრახი და სალამური“** შემდეგი შინაარსით: „მასწავლებელი“,—აასამანისა; „სამშობლო განსაცდელშია“, ეშმაკისა; მსაჯულები (არაკი) ს. ბდიკაძისა; დეპეშები გურიიდან; „ჩემო სულის დგმავ!“ ნ. ზომლეთელისა; ეშმაკის ინტერვიუ. დეპეშები სამტრედიიდან. „პატარა ფელეტონი“; გრძნობა და გონება ვ. მაღაქაშვილისა. შეკითხვა. გურული სცენა, რაშორენსი. დეპეშები: ქუთაისიდან, ხონიდან, ფოთიდან, ჭიათურიდან, მიხაილოვიდან. ფოსტა. წერილები—რედაქციის მიმართ. კუდიანი ვარსკვლავი.

ფოთი. 22 თებერვალს აქ გაიხსნება მორიგი საეპარქიო სიეზდი.

— მეექვსე დღეა რაც განუწყვეტლივ ქრის ძლიერი ქარი, რომელმაც სახლებს მოგლიჯა სახურავები. ამის გამო ქუჩაში ხალხი იშვიათად გამოდის. შავ ზღვაზე ძლიერი ღელვაა; გემები ნავთსადგურში ვერ შემოდიან.

სასადი — თანდათან მატულობს. 16

საკუთრებულ საქმეთ სთვლიდენ მხოლოთ **გლეხ-კაცობაში აგიტაციას**, გაკვირვებით ხედავდენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატის რაზმთა შორის ამჩნევდენ იგინი სერიოზულ ნაყოფს. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ლოღიკა აქაც სასტიკათ ეწინაალმდეგებოდა ნაროდნიკებთა დოქტრინის ლოღიკას.

მარა ჯერ კიდევ არც ეს კმარა. ნაროდნიკების დოქტრინა ღაღადებდა, რომ ხალხის განთავისუფლება უნდა იყოს თვით ხალხის საქმეო*)

მაგრამ რევოლიუციონური აგიტაცია, რომელიც შეეჯახა საშინელ პოლიტიკურ დაბრკოლებას თანდათან გადამენდა და იქცა ეგეთ წოდებულ **ტერორიზმათ**, ე. ი. ბრძოლათ ერთი მუჭა თავგანწირულ რევოლიუციონერთა და მთავრობას შორის. ხალხის განთავისუფლება კი გახდა არა თვით ხალხის საქმეთ, არამედ—პატარა საიდუმლო **ჯგუფის** საქმეთ. დასავლეთ-ევროპის მაშინდელი სოციალისტები, რომელთა სათავეში იდგენ მარქსი და ენგელსი, რუსეთის ტერორიზმში ხედავდენ რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის დიად **ძლიერებას**. ნამდვილათ კი, ტერორიზმი მოასწავებდა და მაჩვენებელი იყო მოძრაობის სისუსტის. რუსეთის რევოლიუციონერ. ტერორი სისტემათ აქციეს მხოლოდ მაშინ, **როცა დარწმუნდენ, რომ ამ ჟამათ ვერ აამხედრებენ გლეხ-კაცობას „სახელმწიფოს“ წინაალმდეგ საბრძოლველათ.** ტერორისტთა ტიტანიური ენერგია ნამდვილათ იყო სასოწარკვეთილების ენერგია.

რამდენიმე წლის აგიტატორული **პრაქტიკა** საკმარისი იყო, რომ „ნაროდნიკთა“ **თეორიიდან** ქვა ქვაზე არ დარჩენილიყო. ჩვენი მაშინდელი რევოლიუციის თეორეტიკოსები—რომელთა რიცხვს ამის ავტორიც ეკუთვნოდა—[illegible]ხლართენ უიმედო წინაალმდეგობ[illegible]. ამ წინაალმდეგობებიდან განთავისუფლება შეუძლებელი იყო უიმისოთ, თუ ბაკუნიზმს არ მოიშორებდი თავიდან.

მარა ეს არც ისე ადვილი იყო. რუსეთის რევოლიუციონერები ძალიან შეზრდილი იყვენ ძველ თეორიასთან.

დაიწყო ინტენსიური შეკეთება ამ თეორიის ყველა დაცვეთილ და დარღვეულ ადგილების, რომელსაც განსაკუთრებული სიბეჯითით ეძლეოდა ლ. ტიხომიროვი, მაშინდელი გამოჩენილი პუბლიცისტი „ნაროდნაია ვოლიას“ ფრაქციისა, ახლა კი მთავარი რედაქტორი ურეაქციონერეს გაზეთ „მოსკოვსკია ვედომოსტისა“-სა. მაგრამ ყველას როდი შეეძლო ამგვარათ „შეკეთებული“ თეორიით დაკმაყოფილება. განსაკუთრებით ძნელი იყო ეს ჩვენს შორის იმათთვის, რომლებსაც „არალეგალურ“ მდგომარეობის გამო ძალაუნებურათ უნდა დაეტოვებიათ რუსეთი და საშუალება ეძლეოდათ ახლოს გასცნობოდენ დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობას და დასავლეთ ევროპის **მეცნიერულ სოციალიზმს.**

ამნაირ მდგომარეობაში მყოფთ ეკუთვნოდენ ვერა ზასულიჩი—რუსეთის ტერორიზმის ერთი სულის ჩამდგმელთაგანი, რომელიც, თუმცა არასოდეს არ სთვლიდა მას ბრძოლის ერთათ-ერთ საშუალებათ,—შემდეგ, პავლე აქსელროდი, ლ. დეიჩი, ვ. იგნატოვი და მე. თითოეულ ჩვენგანს წინ მიუძღოდა რამდენიმე წლის რევოლიუციონურ აგიტატორული მოქმედება და ცოტათ თუ ბევრათ იმის შეგნებაც, რომ ჩვენი მოქმედება არ ესაბამებოდა ნაროდნიკულ თეორიას. ეს შეგნება მძიმე ლოდივით გვაწვა გულზე და ყველა ჩვენთაგანი მოუთმენლათ ვეჩქარებოდით მოგვეყვანა წეს-რიგში ჩვენი რევოლიუციონური იდეები. პირველათ ჩვენ დაფანტული ვიყავით დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, თან ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ თუმცა ძალიან დაშორებული ვიყავით ერთი მეორეზე—მაგალითათ, აქსელროდი ერთ ხანს ცხოვრობდა იასსაში, მე კი პარიზში—მაგრამ ჩვენი სულიერი მისწრაფება მუდამ ერთი მიმართულებისკენ იყო მიქცეული. ეს იყო სოციალდემოკრატიული თეორია, ე. ი. მარქსიზმი.

ვისაც ჩვენთან ერთათ არ გამოუცდია ის დრო, ის ძნელათ წარმოიდგენს იმას, თუ როგორ ქარ-ცეცხლივით მოვედევით ჩვენ სოციალდემოკრატიულ ლიტერატურას, რომელშიაც გერმანელ დიდებულ თეორეტიკოსთა ქმნილებებს ბუნებრივათ პირველი ადგილი ეჭირათ. რაც უფრო მეტს ვითვისებდით სოციალდემოკრატიულ ლიტერატურას, მით უფრო ნათლათ ვამჩნევდით ჩვენი წინანდელი აზრების სუსტ მხარეებს, მით უფრო ჰარმონიულათ იხატებოდა ჩვენს თვალში ჩვენი რევოლიუციონური გამოცდილება. მე პირადათ ჩემზე შემიძლია ვთქვა, რომ „კომუნისტური მანიფესტის“ წაკითხვა შეადგენს ეპოქას ჩემს ცხოვრებაში.

მე აღტაცებაში მომიყვანა „მანიფესტმა“ და მაშინვე გადავსწყვიტე იმის რუსულათ გადათარგმნა. როდესაც ეს ჩემი გადაწყვეტილება გავუზიარე ლავროვს ის გულგრილათ შეხვდა ამას. „შეიძლება რასაკვირველია, „მანიფესტის“ გადათარგმნა—მითხრა მან, მარა თქვენ უკეთესს იზამდით, რომ ორიგინალურ რამეს დასწერდეთო“. მე მაინც არ ვეჩქარებოდი ორიგინალობას და ვამჯობინე უმალ „მანიფესტის“ გადათარგმნა.

მარქსის თეორიამ პრიადნას ძაფივით გამოგვიყვანა იმ წინაალმდეგობათა ლაბირინთიდან, რომელშიაც იმყოფებოდა ჩვენი გონება ბაკუნინის წყალობით. ამ თეორიის შუქმა ნათლათ დაგვანახვა ის გარემოება, რომ რევოლიუციონურ პროპაგანდას პროლეტარიატი უფრო ეწაფებოდა, ვიდრე გლეხკაცობა.

თვით **რუსეთის კაპიტალიზმის განვითარება**, რომელიც ისე აშინებდა ბაკუნისტებს, არღვევდა თემურ მიწათმფლობელობას, ამზადებდა ახალ ნიადაგს რევოლიუციონურ მოქმედებისათვის, ვინაიდან ეს ნიშნავდა როგორც პროლეტარიატის რიცხვით ზრდას, აგრეთვე იმის კლასობრივ შეგნების განვითარებას.

ასე თუ ისე, ამ თეორიამ რევოლიუციონურ სამსახურათ გარდაქმნა ის, რაც მართლ-მადიდებელ ბაკუნიზმის შეხედულობით შეადგენდა რევოლიუციის ღალატს: **ბრძოლა პოლიტიკურ უფლებათა მოსაპოვებლათ.**

ეს თეორია გვიჩვენებდა აგრეთვე, თუ რა პირობები იყო საჭირო ამ ბრძოლის გამარჯვებისათვის. ამის შესახებ ჩემი აზრი მე გამოვსთქვი, ზევით მოხსენებულ, წიგნაკში—„სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ და რომელსაც ეპიგრაფათ წავუმძღვარე ,,კომუნისტურ მანიფესტიდან‘‘ ამოღებული სიტყვები: ,,ყოველივე კლასობრივი ბრძოლა არის იმავე დროს ბრძოლა პოლიტიკური‘‘.

მე არ მაქვს ამ ჟამათ არც სურვილი, არც შეძლება დაწვრილებით გამოვსთქვა აქ ის, თუ როგორ გამოილაშქრეს მაშინ ჩვენს სოციალდემოკრატიულ წარმართობის წინაალმდეგ.

მე ავღნიშნავ მარტო იმას, რომ პ. ლ. ტიხომიროვი (ჟენევის ორგანოში ,,ვესტნიკ ნაროდნოი ვოლი‘‘, 1884) ჩვენი იდეების წინაალმდეგ ყოველნაირ ჭორებს და ცილის წამებებს ავრცელებდა ცდილობდა, წარმოედგინა ეს იდეები, როგორც არსებულ წესწყობილებასთან შერიგება. მე ლავროვისა და ტიხომიროვის გამოლაშქრებას პასუხი გავეცი ჩემი წიგნით „ნაში რაზნოგლასია“, რომელშიაც სტატისტიკურ ცნობებზე დამყარებული ანალიზით ვარკვევდი რუსეთის საშინელ ეკონომიურ ვითარებას და ვამტკიცებდი, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება,—რაც ისე აშინებდა ჩვენს მოწინაალმდეგეებს,—არის საქმე არა თუ ცოტათ თუ ბევრათ პრობლემატიურ მომავლისა, არამედ—ეს არის აწ უკვე არსებული მოვლენა, რომელიც აუცილებლათ თანდათან უფრო ფართო ასპარეზს დაიჭერს.

ჩვენს მოწინაალმდეგეებს არ შეეძლოთ ჩვენს მიერ წამოყენებულ ეკონომიურ და სტატისტიკურ საშუალების წინაალმდეგ დაეყენებიათ რამე და მით უფრო ხმამაღლა გაიძახოდენ კიდით-კიდემდე, ვითომ ჩვენ დაფარულათ გვეკისროს კაპიტალის სამსახური. ბომარშეს დონ-ბაზილიო ამბობს: „იჭორეთ, იჭორეთ, ყოველთვის, ცოტა რამ მაინც მოეცხებაო‘‘. იმ ჭორებიდან, რომლებსაც უმთავრესათ ტიხომიროვი ავრცელებდა ჩვენს წინაალმდეგ, ზოგიერთებს კიდევ დიდხანს ქონდათ მაზანდა და ხშირათ გვწამებდენ კაპიტალის თანაშემწეთა საიდუმლო თანაშემწეობას. ჯერ კიდევ მეოთხმოცდაათე წლების ნახევარში ამნაირმა ჭორებმა ჩვენზე ადგილი იქონია „ლეგალურ“ ლიტერატურაში ნ. მიხაილოვსკის და იმის თანამოაზრეთა თხზულებებში. ერთი იმათგანი, ს. ნ. კრივენკო იმასაც კი ამტკიცებდა, რომ მარქსის მიმდევრებს სხვა აღარა დარჩენიათ რა გარდა იმისა, რომ სოფლის ჩარჩებათ და მედუქნეებათ გახდენო.

მე იძულებული გავხდი ბელტოვის ფსევდონიმის ქვეშ პასუხი გამეცა ასეთი პირებისათვის თავის თხზულებაში—მონისტური შეხედულება ისტორიაზე, რომელიც გამოვიდა პეტერბურგში 1895 წლის დასაწყისში *).

თუ რევოლიუციონერთა ძველი და ყალბი თეორიები ხმამაღლა და გადაჭრით ამბობენ ჩვენს წინაალმდეგ, რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური სინამდვილე კი აშკარათ ღაღადებდა ჩვენს სასარგებლოთ. ყოველივე ახალი ნაბიჯი ამ სინამდვილის განვითარებაში ამტკიცებდა ჩვენი შეხედულების სიმართლეს, ჩვენ მტკიცეთ ვიცავდით ამ შეხედულობებს და ჯეროვანათ ვაფასებდით ჩვენს მოწინაალმდეგეთა ჩვენზე გამოლაშქრებას.

ამასთანავე, ჩვენმა აზრებმა ძალიან მალე მოიხვეჭეს თანაგრძნობა რუსეთში. ჯერ კიდევ 1886 წ. გაზაფხულზე შესდგა პეტერბურგში ჯგუფი, რომელმაც მიზ-

---

*) ამ ნაირი ფორმა მიიღო მაშინდელ რუსეთში ინტერნაციონალის ცნობილმა დებულებამ, რომელიც ამბობს, რომ მუშათა განთავისუფლება უნდა იყოს მხოლოდ თვით მუშათა საქმე.

*) მონისტურ შეხედულობის ქვეშ ვგულისხმობდი ისტორიულ მატერიალიზმს, რომელიც არ ვუწოდე ჩემს წიგნს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ცენზორი არ გამეხლებია.

თებერვალს ოფიციალური ცნობით სასადილოთ ავათმყოფთა რიცხვი 18-დე ასულა. სახადს გარდა ქალაქში გაჩნდა კიდევ ყელ-ჭივრება, რომელმაც უკვე იმსხვერპლა ერთი ოჯახი.

— კვირას, 14 თებერვალს ღამით ვიღაც ბოროტმოქმედებს გაუტეხიათ როსიის საზოგადოების საქონლის საწყობი და იქიდან გაუტანიათ 2000 მანეთის სხვადასხვა საქონელი.

— როგორც ვიცით, „გაპოდრიაჩიკებულ“ მუშებთან დადებული ხელშეკრულობა მწარმოებლებს გაუუქმებიათ უკვე და 17 თებერვალს გარეკილი მუშები შესდგომიან მუშაობას. ეხლა გაიმართა მოლაპარაკება ხსენებულ მუშებსა და ყოფილ პოდრიაჩიკებს შორის იმის შესახებ, დაშვებულნი იქნებიან ყოფილი პოდრიაჩიკები სამუშაოზე თუ არა. ჯერ ეს კითხვა არ გადაჭრილა.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი

სეპეხდარის გადადგომა. სპარსეთის სამხედრო მინისტრმა სეპეხდარმა მთელი კაბინეტის სახელით თხოვნა გადასცა შაჰს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრს სერდარ ასადს „რ. ს.“-ს კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ დეპუტატებისა და რეგენტის თხოვნამ, მინისტრებს სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი უკანვე წაეღოთ, არ გასჭრა. „კაბინეტის გადადგომას მჭიდრო კავშირი არა აქვს სესხის აღების საკითხთან. რუსეთის ჯარების სპარსეთში ყოფნა—აი უმთავრესი მიზეზი ჩვენი გადადგომისა. მთავრობამ ყოველი ღონე სცადა რუსეთის ჯარების სპარსეთიდან გასაყვანათ და ამ ჟამათ, როდესაც დარწმუნდა, რომ მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, სამსახურიდან გადადგა“.

ეფრემის შეხვედრა. თავრიზის მცხოვრებლებმა ბრწყინვალე შეხვედრა გაუმართა ეფრემს. ყარადაღის დამაწყნარებელს ქალაქმა დიდი დღესასწაული გაუმართა. „ბაქო“-ს სიტყვით ყოველ ადგილას მიტინგები იმართება, რომელზედაც სასტიკ წინააღმდეგობას აცხადებენ გარეშე სესხის აღების შესახებ.

ახლო-აღმოსავლეთი

ტახტზე უარის თქმა. პეტერბურგის დიპლომატიურ წრეებში ცნობა მიუღიათ, რომ საბერძნეთის მეფე, გიორგი საბოლოოთ გადასწყვიტა ტახტიდან გადადგომა. შეიძლება ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაგვიანდეს, რადგან მეფეს სურს, რომ ტახტი თავის დინასტიას შეანარჩუნოს. ამბობენ, ბერძნების მეფეთ გამოაცხადებენ მეფე გიორგის შვილს—კონსტანტინესო.

საბერძნეთის კრიზისი. ათინიდან მიღებული ცნობებით იქ კონტრ-რევოლიუცია მზადდება. შესდგა ახალი პარტია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ არმიის უმაღლესი მოხელენიც. პარტიას მიზნათ აქვს აღადგინოს ცხოვრების ნორმალური პირობები, პარლამენტის აქტიური მოქმედება და მეფის უფლებები, რომელიც სამხედრო ლიგის გავლენით თითქმის გაუქმებულია. მოსალოდნელია დიდი არეულობა. კრიტოსის კუნძულიდან ათინაში დიდ-ძალი ხალხი მიდის.

პროტესტები და კონტრ-პროტესტები. ლონდონის და ბერლინის გაზეთები იტყობინებიან, რომ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ათინაში სამხედრო ლიგის წინააღმდეგ და სასარგებლოთ მანიფესტაციები ხდება. გაზეთებს სასტიკათ აკრძალული აქვთ ამ მანიფესტაციების შესახებ რაიმე ცნობა დასტამბონ. სამხ. ლიგის წინააღმდეგ გამართულმა მანიფესტაციამ ძალიან გაამხნევა მეფის სასახლის პარტია. რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველათ სამხედრო-ლიგამ გადასწყვიტა მოიწვიოს 18,000 სათადარიგო ჯარის კაცი და მიამქმედ არმიაში იყოლიოს.

თესალიიდან შეუწყვეტლივ მიდის ჯარები ათინაში. ჯარის ნაწილები არ ემორჩილებიან უფროსებს. აფიცრები ჯგუფებათ დაიყვნენ. ასეთივე მდგომარეობაა საზღვაო ჯარებშიაც. სამხედრო ლიგა უკმაყოფილოა ადმირალ მიაულისით. მოელიან მის გადაყენებას. ყველა ცნობები, რომელიც საბერძნეთის ჯარების შესახებ ევროპის გაზეთებს ეგზავნებათ, წინასწარ განსაკუთრეაული საცენზურო კომისიის ხელში გადის. ეს კომისია დაარსებულია სამხედრო ლიგისაგან.

მდგომარეობა ბოლგარიაში. ოსმალეთ—ბოლგარიის საზღვარზე მომხდარმა სისხლის ღვრამ დიდი მღელვარება გამოიწვია სოფიის მცხოვრებთა შორის. ბოლგარიის გაზეთები ძალიან კიცხავენ ოსმალეთს და საზღვარზე მომხდარ შეტაკებას აწერენ ოსმალეთის გენერალურ შტაბს.

საზღვარ-გარეთ

ბებელის იუბილეი. გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბებელს ალბომი მიართვა, რომელშიაც მოთავსებულია მილოცვები ყველა პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციებისა და ადრესები სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური პარტიებისა. ეს ადრესები დაწერილია თვითეული ქვეყნის სამშობლო ენაზე და მიღებულია ევროპის ყველა სახელმწიფოებიდან, ამერიკიდან, ავსტრალიიდან და იაპონიიდან.

9 თებერვალს საღამოს იუბილიარის პატივსაცემათ გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს: დეპუტატ დიტკმა, გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის სახელით, ვიქტორ ადლერმა—ავსტრიის სოც. დემ. პარტიის სახელით და ჟიულ-გედმა—საფრანგეთის სოც. დემ. პარტიის სახელით.

განხეთქილება პარტიაში. ინგლისის ლიბერალურ პარტიაში გაზეთ „ბ. ვ.“ სიტყვით განხეთქილებამ იჩინა თავი. პარტიას გამოეყო 40—50 რადიკალი და ჯგუფურ კრებებს ახდენენ. განსაკუთრებულათ თათბირობენ შოტლანდიის ლიბერალებიც. ორივე ჯგუფი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ პრემიერ მინისტრმა სეფე სიტყვაში ლორდთა პალატის „ვეტოს“ საკითხი და ამავე პალატის რეფორმის საკითხი ერთმანეთში აურია.

ინგლისის რადიკალებმა ასკვიტს დეპუტაცია გაუგზავნეს და სთხოვეს, რომ მან თავისი პროგრამიდან გამოუტოვოს ზედა პალატის რეფორმის პროექტი.

სათემო პალატაში არის დეპუტატების ერთი ჯგუფი, რომელიც მოითხოვს, რომ ლორდთა პალატა გადაკეთებულ იქნას სენატათ, რომლის წევრებიც იმავე წესით უნდა იქნან არჩეულნი, როგორც სათემო პალატის დეპუტატები.

რუსეთი

ს. რ. მსაჯული. იაროსლავიდან იტყობინებიან, რომ ყოფილი გამომძიებელი და შემდეგ ქალაქის მსაჯული—ლებედევი 29 წლისა, მთავრობამ პასუხისგებაში მისცა სოც. რევ. პარტიის წევრობისათვის. სასამართლომ ლებედევს მიუსაჯა ყოველი უფლების ჩამორთმევა და სამუდამო გადასახლება.

„ჭეშ. რ.“ კავშირში. თერგის ოლქის ჯარების უფროსმა თანამდებობიდან გადააყენა და სასამართლოს წესით პასუხის გებაში მისცა პიატიგორსკის „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის ლიდერი და საქმის მწარმოებელი აგაპოვი. აგაპოვს ბრალი ედება მექრთამეობაში და ფულების გაფლანგვაში. როგორც გამოძიებას აღმოუჩენია, აგაპოვი ქრთამებს მუქარით ღებულობდა.

მუშების წერილი. დეპუტატმა კუზნეცოვმა (ს.-დ.) ბლაგოვეშჩენსკის მაღაროების მუშებისაგან წერილი მიიღო, რომელშიაც მუშები კითხვას აყენებენ დონის ოლქის მაღაროს მუშების სიეზდის მოწვევის შესახებ. მუშები აღნიშნავენ მაღაროს მუშების აუტანელ ცხოვრების პირობებს, იმ მცირე უფლებების შეუსრულებლობას, რომელსაც კანონი ანიჭებს მუშებს, მაღაროს მუშათა შორის უბედურ შემთხვევების გამრავლებას და სხვ. ასეთი მდგომარეობის ერთ მიზეზათ მუშები ასახელებენ იმ გარემოებას, რომ მუშებს არ მოეპოებათ არც პროფესიონალური, არც კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანი. ამიტომ წერილის ავტორებს საჭიროთ მიაჩნიათ სიეზდის მოწვევა, რომელზედაც განხილულ უნდა იქნას მუშათა შრომის კანონები და ის ზომები, რომელიც მის გასაუმჯობესებლათ უნდა იქნა მიღებული.

კომმისარჟევსკაიას ხსოვნას. კომისარჟევსკაიას სულის მოსახსენებლათ მესამეთ გამართულ პანაშვიდზე, პეტერბურგში, 3,000 ქალი და კაცი დაესწრო; საკრებულო დარბაზი მთლათ ხალხით იყო გაჭედილი.

— კოზმა-დამიანეს ეკკლესიაში სახალხო უნივერსიტეტებში წარმოდგენების მმართველმა სექციამ კომისარჟევსკაიას სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდები გადაიხადეს აგრეთვე ბევრ უმაღლეს კურსებზე.

— პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა სტუდენტებს ნება არ დართო უნივერსიტეტის ეკკლესიაში კომისარსარჟევსკაიას გარდაცვალების გამო პანაშვიდი გადაეხადათ.

— ახალი დრამატიული თეატრის (ეს თეატრი წინათ კომისარჟევსკაიას ეკუთვნოდა) დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა თეატრის პატრონთან, თავად დემიდოვ სან-დონატოსთან, რომ თეატრს სამუდამოთ კომისარჟევსკაიას სახელი ეწოდოს.

— უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა განსვენებულ მსახიობ ქალის ხსოვნის პატივსაცემათ შემდგარ საორგანიზაციო კომიტეტს მიმართეს და სთხოვეს, რომ გვირგვინებზე შეკრებილი ფულიდან განსაზღვრული $^0/_0$ გადაიდოს კომისარჟევსკაიას საფლავზე და მის ყოფილ თეატრის ფოიეში ძეგლების დასადგმელათ. შემოწირულების ნაწილი გადაიდება ქალაქის თავშესაფარში კომისარჟევსკაიას სახელზე ერთი საწოლის დასაარსებლათ მოხუცებულ სასცენო მოღვაწეთათვის.

— მოსკოვის სტუდენტებმა ხელის მოწერა გამართეს გვირგვინისათვის ფულის შესაგროვებლათ. ხელის მოწერას წინ მიუძღოდა შემდეგი მოწოდება:

„ამხანაგებო! აღარ გვყავს ვერა კომისარჟევსკაია. ზედ მეტია იმის აღვნიშვნა, თუ რა დაკარგა მასში ახალგაზდობამ. ის ჩვენი იყო, და ესეც საკმარისია. საჭიროა უკანასკნელათ კიდევ დავუმტკიცოთ განსვენებულს ჩვენი სიყვარული, ერთგულობა და უსაზღვრო მწუხარება. წავიდეთ სადგურზე უკანასკნელი—„მშვიდობით“—ვუთხრათ და გვირგვინის შევამკოთ იმისი კუბო, ვინც ჩვენთვის ასე ძვირფასი იყო“.

— სამხატვრო თეატრის დირექციაში, კომისარჟევსკაიას ხსოვნის პატივსაცემლათ თეატრის ფოიეში მოიწვიეს თეატრის არტისტები და ლიტერატურის წარმომადგენლები. ფოიეს ერთი კედელი დაფარული იყო შავი მაუდით. ამ კედელზე ეკიდა ვერას სურათი ყვავილებით შემკული. სურათის მახლობლათ იდგა ტრიბუნა.

კრება გახსნა ნემიროვიჩ-დანჩენკომ რომელმაც მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ა. ი. იუჟინმა (სუმბათოვმა), პ. დ. ბობორიკინმა, ნ. ვ. ტურკინმა და სხვებმა.

პროვინცია

ზემო ჭალა. დ. მიხაილოვში კაი ხანია არსებობს ეგრეთ წოდებული ზემო ჭალის სკოლა, რომელსაც ინახავს სამი სოფელი: ხაშური, ჭალა და ცხრამუხა. აღნიშნულმა სოფლებმა მისცა სკოლას „სასწორი“ და „სასკლათო“, რომლებიც იძლევიან წელიწადში არა ნაკლებ ორას თუმნისა. მიუხედავათ ამისა, ხაზინაც კიდევ შემწეობას აძლევს წელიწადში ას თუმნამდე. ასე რომ, სულ შემოსავალი უდრის სამას თუმანს. ეს ამდენი ფული შეინახავს არამც თუ ორ-კლასიან სასწავლებელს, არამედ—ოთხ-კლასიან სასწავლებელსაც. 1906 წლამდე ამ სასწავლებელში ზედამხედველათ იყო ბ. მუნტიანი, რომელმაც სკოლის საქმე ძალიან კარგათ დააყენა. გახსნა საქსოვი განყოფილება, სადაც შეგირდები მშვენივრათ ქსოვდენ ხალიჩებს, ფარდებს და სხვა. რეაქცია დაიწყო თუ არა, დ. მიხაილოვში გახშირდა უსახელო წერილების გზავნა, რომლითაც აშინებდენ ზოგიერთა პირებს. არ დაიშურეს ერთი ამისთანა წერილი პატიოსან მუშაკზე. წერილის მიღებისათანავე ბ. მუნტიანმა მიატოვა სკოლა და წავიდა სამშობლოში, მას შემდეგ სკოლის ზედამხედველათ იყო დანიშნული განსვენებული ანანი ხატისკაცი. მან დახურა საქსოვი განყოფილება. ხშირათ განსვენებული თითო თვეობით სტოვებდა სკოლას.

ასე მდგომარეობამ გასტანა ოთხი წელიწადი და როგორც სჩანს ზემოაღნიშნულიდან სკოლისთვის იოტის ოდენა სარგებლობა არ მოუტანია. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ თ ვის სიკვდილი გადასწყვიტა, კიდევაც სი რუდეში მოიყვანა 13 მაისს 1909 წ. სკო ლას ქონდა ბავშვების და მასწავლებლები მდიდარი სამკითხველო, რომელიც ისე გ დარიბდა, რომ ერთი წიგნიც არ მოიძებნ გარდა ცირკულიარებისა.

ხატისკაცის შემდეგ სკოლების ინსპე ტორმა ამ სკოლის ზედამხედველათ დანიშ ბ. ოდიშარია. ამის ზედამხედველათ დანიშვ არ ესიამოვნათ ზოგიერთა ჭურის მასწავლე ლებს, რომლებმაც მოაწყვეს თავისი ქამან სულ სხვა ხმაზე და მოუგვეს სხვადასხვა ჭო რიკანობას. ხალხს ძალიან გაეხარდა ოდიშ რიას დანიშვნა და მისგან მოელოდენ სკოლ საქმის კარგათ დაყენებას, რაშიაც ისინი არ მოტყუებულან. ის ენერგიულათ შეუდგა სკო ლის საქმეების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებ და მისმა ცდამ კიდევაც შესაფერი ნაყოფ გამოიღო. სკოლამ სული მოიბრუნა და თ ისე გაგრძელდა ეჭვი, არაა, სკოლა თავის ს მაღლეზე დადგება და მით შესძლებს თავი დანიშნულების პირნათლათ შესრულებას.

გულშემატკივარი.

მუშათა შორის

რკინის გზის რემონტის მუშათა შო რის. რემონტის მუშებმა კაი ხანია საღათა ძილს მისცეს თავი. თუ წინათ რომელიმ „დაროჟნი მასტერთან“ მომუშავე მუშებშ ასხავდით თითო-ოროლა ისეთ მუშას, რო მელსაც აინტერესებდა ჟურნალ-გაზეთების კითხვა, დღეს დაკარგათ ხალისი და ისწ რაფვება ამ გონებრივ საზრდოზე თავიანთ უფროსების წყალობით. ეს ვაჟბატონები ასე ეტყვიან ხოლმე მუშებს: რა მოგიტანათ გა ზეთების კითხვამ? (სახეში არ მეყავს უმეღ კახსოვს თუ არა, რა დღე დაგადგათ თქვენ ერჩობით, ის მოგელით კიდევაც. ცხადია, ამა ადვილათ მიხვდება მკითხველი თუ რა გავ ლენას იქონიებდა უფროსის ასეთი სიტყვებ მეუგნებელ მუშებზე. დღეს არც ერთ სად გურზე არავის რემონტის მუშათაგანს არ აქვ არავითარი გაზეთი გამოწერილი. მათთვ გონებრივი საზრდო დღეს მხოლოდ ის არის ჯამაგირის მიღების შემდეგ შევიდენ სამი კიტნოში და არაყში და ღვინოში ჩაიხრჩო ასევე იქცევიან სადგურის დაბალი მოსამს ხურე-მესირეებიც.

ი. გადიდელი.

თეატრი და ხელოვნებ

ფოთი. შაბათს, 13 თებერვალს ადგი ლობრივ საკრებულოს დარბაზში წარმოდგ ილ იქნა ტრ. რამიშვილის „მეზობლები“ წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო, მაგრამ მოთამაშეთ ამ გარემოებამ გული მაინც არ გაუტეხა და კარგათ ითამაშეს. მშვენიერ იყო ქ-ნი საშა გაწერელია—ჩაჩანიძე, (ტასო რომელმაც მეტად მოხდენილათ, ლამაზათ და ბრუნდის სისწორით დაგვიხატა კნეინა ტასოს ულისკვეთება, მისი მისწრაფებანი და იდეა ლი. მას არ ეტყობა ძალდატანება, ის სრუ ლიად ბუნებრივია; სწორეთ ამით აიხსნება ის ენტუზიაზმი, რომელსაც მისი ლამაზი და მოხდენილი თამაში იწვევს დამსწრეთა შორის კარგი იყო ბ. ა. მეგრელიძე (მენაბდი შვილი) ბ-ნი ყ. კაკარავა (გელოვანის ძე) ზოგრი აცინა ხალხი სუთიძემ (ბ. ნ. ჟღენტმა ის სცენაზე სუთიძის ნამდვილი განხორ ციელება იყო; არა უშავდა ქ-ნ ს. გიგინეი შვილს (კნ. კატო) და ქ-ნ. ჩხაიძე (მაია) და ბარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ.

ძლიერ სასიამოვნო იქნება ხშირათ გაიმარ თებოდეს ასეთი წარმოდგენები, რაც ძლიე ხელს შეუწყობს ხალხის გათვითცნობიერები საქმეს.

ვალია.

ნათ დაისვა პეტერბურგის პროლეტარიატის შორის სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელება. ამ ჯგუფმა რამოდენიმე ნომერი გაზეთი „რაბოჩი“ გამოსცა კიდეც, რომელიც იბეჭდებოდა საიდუმლო სტამბაში.

ეს ჯგუფი შესდგებოდა ეგრეთ წოდებული „ინტელიგენტებისაგან“. ერთი წლის შემდეგ კი, 1887 წ., ოდესელმა **მუშებმა** შეკრიბეს თავიანთ შორის 20 მანათი ჩვენი გამომცემლობის გასაძლიერებლათ...

მეოთხმოცე წლების მეორე ნახევარი რევოლიუციონურ მოძრაობის დაცემის ხანა იყო, რომლის ენერგია ჩაყლაპა გასულ ათი წლის შეუჩერებელმა მოქმედებამ. ამტომ, თუ ცალკე ნაბიჯებს არ ვიანგარიშებთ, ეს დრო ჩვენი იდეებისათვის ჩაითვლება ძეობის დროთ, რომელიც მეოთხმოცდაათე წლების დასაწყისამდე გაგძელდა.

შიმშილობა, რომელიც თავს დაატყდა რუსეთს 1891 წელს, გადიქცა რევოლიუციონური მოძრაობის ახალ აბობოქების სიგნალით. სწორეთ მაშინ გამოაშკარავდა, თუ როგორ ფართეთ გავრცელებულიყო ჩვენი აზრები დასახელებულ დროის განმავლობაში. სოციალ-დემოკრატიულმა იდეებმა ჩვენს მოწინააღმდეგებზედაც ფრიად ღრმა გავლენა იქონიეს. მე შემიძლია დავასახელო იმ დროის „ნაროდოვოლცების“ ჯგუფთა მთელი რიგი, რომელთა თხზულებებში —„ძველი ნაროდნიკების“ სავალალოთ —ჩვენი აზრები სიტყვა-სიტყვით იყო გადმოცემული. მუშებზე ლაპარაკიც მეტია. მათი კლასობრივათ შეგნებული ელემენტები სრულიათ და განუყოფელათ დადგნენ სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ.*) ჩვენ სრულიათ სიმართლიანათ შეგვეძლო ჰამლეტივით გვეთქვა: **„შენ კარგათ ხვრელავ, ჩემო ფულუ!“**

ჩვენი ისტორიის უკანასკნელ ხანების „ორგინალობა“ მდგომარეობს იმაში, რომ **რუსეთის ბურჟუაზიის იდეათა გაევროპიელებაც კი მიმდინარეობდა მარქსიზმის დროშის ქვეშ.** პროგრესიულ ბურჟუაზიის იდეოლოგები, ბ. ფონ სტრუვეს მეთაურობით, რამოდენიმე ხანს ჩვენ პუბლიცისტებთან ერთათ ებრძოდენ „ნაროდნიკული“ მოძრაობის პუბლიცისტებს. ნაროდნიკების წინააღმდეგ, რომლებიც იმ ხანებში საბრალო, სულ არარევოლიუციონურ ძალათ გარდიქმნენ,—მარქსის იდეები წარმადგენდენ უძლიერეს იარაღს. ამიტომ იმით სარგებლობდენ არა მარტო პროლეტარიატის იდეოლოგები, არამედ—ბურჟუაზიისაც. თუმცა ცხადია, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგებს მარქსის თეორია ეჭირვებოდათ მხოლოდ ნაროდნიკებთან საბრძოლველათ. გათავდა თუ არა ნაროდნიკებთან ბრძოლა, ბურჟუაზიულმა პუბლიცისტებმა მაშინვე უარ ყვეს მარქსის მოძღვრება. იმ ხანებში დაიწყო „ლეგალურ“ ლიტერატურაში მარქსიზმის „გადასინჯვა“, რომელიც რუსეთში უფრო „საფუძვლიანი“ იყო, ვიდრე სხვაგან სადმე.

ცხადია, ჩვენ ეს „გადასინჯვა“ ოდნავათაც არ გაგვკვირვებია და არც გვწყენია...

უკანასკნელმა ამბებმა კი ნათლათ დაამტკიცა ჯერ კიდევ 1889 წელს, პარიზის ინტერნაციონალურ კონგრესზე ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვები რომ „რუსეთის მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა, ან სულ ვერ გაიმარჯვებს“. დღეს კი ნაროდნიკების გაბათილებული და უარყოფილი დოგმები ვეღარ შეიყვანენ შეცდომაში მუშებს. დღეს ამ მუშებს საერთოთ და მთელათ შეგნებული აქვთ მათ წინაშე მდებარე სოციალურ-პოლიტიკური საკითხები. ამ **შეგნებით იგინი უმთავრესათ და ყველაზე უფრო ვალდებული არიან გერმანიის მუშათა მოძრაობის თეორიის და პრაქტიკის წინაშე.**

აბელი.

---

*) თავს ვალდებულათ ვსთვლი შევნიშნო აქ, რომ სოციალდემოკრატიულ აზრების გავრცელების საქმეში განსაკუთრებით ბევრი გააკეთეს მაშინ ებრაელმა მუშებმა.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

ვიღებ

ყოველნაირ საკერავს

კაბებს და თეთრეულს, ამასთან ვიყვა

შეგირდებს ყოველნაირ ხელოსნობისას.

მიხაილოვის ქუჩა № 23 მ. მელიტაურ

0—2

ქ. ბათუმში

ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობის

მაღაზიი

კ. ა. მაჭარაძისა და პ. ა. ჭეიშვილის

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზია-ში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოები, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყვავილეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით.

● **ფასები ხელმისაწვდომია** ●

ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს.

(0—6—36)

სტამბა „შრომა“, რუსის ქუჩა № 3.